დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61- მუხლის მეორე პუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და დაბა ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია თანახმად დანართისა (დანართი 1).

მუხლი 2. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და დაბა ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა თანახმად დანართისა (დანართი 2).

მუხლი 3. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და დაბა ბახმაროს ტერიტორიაზე დასუფთავებისათვს გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმა თანახმად დანართისა (დანართი 3) .

მუხლი 4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N13 დადგენილება.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძე

ვლადიმერ ლომთათიძე

ლელა მდინარაძე